



საგადასახადო სიახლეები

ივლისი, 2023



ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული ურთიერთშეთანხმების პროცედურის წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული ურთიერთშეთანხმების პროცედურა - საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N258, 2023 წლის 4 ივლისი.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების საერთაშორისო ხელშეკრულებები ითვალისწინებს ურთიერთშეთანხმების პროცედურას იმ შემთხვევაში თუ გადასახადის გადამხდელი თვლის, რომ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება მოცემულ ქვეყანაში კონკრეტული შემოსავლის დაბეგვრასთან დაკავშირებით შეუსაბამოა საერთაშორისო შეთანხმების დებულებებთან.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებდა სახელმწიფოთაშორის ურთიერთშეთანხმების საკითხს, საქართველოს შიდა კანონმდებლობაში არ გვქონდა მოცემული კონკრეტული პროცედურა. შესაბამისად გადასახადის გადამხდელს უკვე აქვს კონკრეტული განცხადების ფორმა და განსაზღვრული წესი, რომლის მიხედვითაც მას შეუძლია მიმართოს კომპეტენტურ ორგანოს (ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური) კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად.

გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია, მიმართოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს ურთიერთშეთანხმების პროცედურის დასაწყებად, თუ თვლის, რომ საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე ერთი ან ორივე სახელმწიფოს მოქმედება იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს მისი დაბეგვრა **ამავე საერთაშორისო შეთანხმების დებულებების შეუსაბამოდ**, მათ შორის:

- ა) საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებულ საკითხზე, მიუხედავად იმისა, ითვალისწინებს თუ არა საერთაშორისო შეთანხმება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ან გაეროს (UN) ორმაგი დაბეგვრის სამოდულო შეთანხმების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მსგავს დებულებას;
- ბ) მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ საკითხზე;
- გ) გადასახადის გადამხდელის **ორმაგ რეზიდენტობასთან** დაკავშირებულ საკითხზე;
- დ) გადასახადის **გადახდის წყაროსთან დაკავების** საკითხზე;
- ე) საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებების არასწორად/ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხზე.

ურთიერთშეთანხმების პროცედურა იწყება კომპეტენტურ ორგანოში განცხადების წარდგენის გზით. განცხადება გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს საერთაშორისო შეთანხმების დებულებათა შეუსაბამობის აღმოჩენის მომენტიდან სამი წლის ვადაში, თუ საერთაშორისო შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

შენიშვნა: შეუსაბამობის აღმოჩენის მომენტი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუმცა, პრაქტიკიდან გამომდინარე, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს საგადასახადო ორგანოს ოფიციალური შეტყობინება (წერილი, აქტი, ბრძანება და ა.შ.) კონკრეტული ტრანზაქციის გადასახადებით დაბეგრასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროცედურა არ ცვლის საგადასახადო დავას ან სხვა სამართლებრივ პროცედურებს.

საქართველოს კომპეტენტურმა ორგანომ, ისევე როგორც მეორე მხარის კომპეტენტურმა ორგანომ, ურთიერთშეთანხმების პროცედურას დაქვემდებარებული საკითხი უნდა გადაწყვიტოს საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად. თავდაპირველად, საქართველოს კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეისწავლოს წარმოდგენილი განცხადება და მიიღოს გადაწყვეტილება ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყებაზე ან უარი თქვას შეთანხმების პროცედურაზე, ამასთან დაკავშირებით კი გადამხდელს აცნობოს დასაბუთებული პოზიცია.

საქართველოს კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საკითხი და შეაფასოს მის მიერ ამ საქმის ცალმხრივად გადაწყვეტის შესაძლებლობა (ცალმხრივი ეტაპი). თუ საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შეუძლებელია საქმის ცალმხრივად გადაწყვეტა, მან უნდა შეატყობინოს მეორე მხარის შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს თავისი პოზიცია და დაიწყოს ორმხრივი ეტაპი.

პროცედურა უნდა დასრულდეს განცხადების წარდგენიდან 24 თვის ვადაში. მიღებული გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს მისი მიღებიდან სამი თვის ვადაში. თუ საერთაშორისო შეთანხმება შეიცავს შესაბამისს დებულებას, აღსრულება უნდა განხორციელდეს შიდასახელმწიფოებრივი ხანდაზმულობის ვადების მიუხედავად, მაგრამ ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის თანხმობაა საჭირო.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

**ცვლილებები გადასახადების ადმინისტრირების შესახებ
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996
ბრძანებაში**

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №275
2023 წლის 18 ივლისი**

სესხების აღრიცხვა

18.07.2023 წელს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N 996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც ამოქმედდება 2023 წლის 1 აგვისტოდან. კერძოდ მოგების ყოველთვიურ და საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციებში ასახვას დაექვემდებარა სესხისა და კაპიტალის მოძრაობის შესახებ ინფორმაცია.

მინარსი	საანგარიშო პერიოდის საწყისი ნაშთი	ზრდა საანგარიშო პერიოდში		შემცირება საანგარიშო პერიოდში		საანგარიშო პერიოდის საბოლოო ნაშთი
			სულ	მათ შორის, გადაფასება	სულ	მათ შორის, გადაფასება
	1	2	3	4	5	6
გაცემული სესხ(ებ)ი						
მიღებული სესხ(ებ)ი						

ცვლილების მიხედვით გადასახადის გადამხდელი ვალდებულია:

- 2023 წლის 1 აგვისტოდან მოგების ყოველთვიური დეკლარაციის შესაბამის უჯრებში ასახოს ივლისის თვის მდგომარეობით და შემდგომი საანგარიშო პერიოდების მიხედვით გაცემული/მიღებული სესხი/სესხები და საკუთარ ან/და სხვა საწარმოში განთავსებული კაპიტალის შესახებ ინფორმაცია.
- 2024 წლის 1 აპრილამდე საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის შესაბამის უჯრებში ასახოს 2023 წლის მდგომარეობით და შემდგომი საანგარიშო პერიოდების მიხედვით მიღებული/გაცემული სესხი/სესხები. აღნიშნული ცვლილება შემოსავლების სამსახურს მისცემს შესაძლებლობას, უფრო მკაცრად აკონტროლოს საწარმოში ფულის მოძრაობა.

! აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებით შემოსავლების სამსახურმა გაამკაცრა საწარმოში ფულადი სახსრების მოძრაობის მონიტორინგი.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №280
2023 წლის 20 ივლისი**

2023 წლის 20 ივლისს ამოქმედდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება 996-ის 56¹ მუხლში (საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა) შესული ცვლილება. კერძოდ, ხე-ტყის აღრიცხვის ახალი წესის ამოქმედების შემდგომ, საგადასახადო დოკუმენტში აღარ მიეთითება ხე-ტყის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №256
2023 წლის 3 ივლისი**

ფინანსთა მინისტრის ბრძანება 996-ში განხორციელდა ცვლილება. კერძოდ, 39³ მუხლის (ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან) პირველ ნაწილს დაემატა ახალი „გ“ პუნქტი, რომლის მიხედვითაც:

გადახდის წყაროსთან 3-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება ფიზიკური პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების კატალიზური კონვერტორის (კატალიზატორის) ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების კატალიზური კონვერტორის (კატალიზატორის) მაკომპლექტებული ნაწილების (მათ შორის, ამორტიზებული მაცუჩის ფილტრის ან/და მაცუჩის კერამიკული ფილტრის) ნარჩენის/ჯართის მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავალი.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №266
2023 წლის 12 ივლისი**

ერთი თვით გახანგრძლივდა ხე-ტყის საწყისი ნაშთების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ვადა.

კერძოდ, ცვლილება შევიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 112-ე მუხლის 64-ე პუნქტში, რომლის თანახმად გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მის საკუთრებაში 2023 წლის 15 ივნისის მდგომარეობით არსებული ხე-ტყის ნაშთების შესახებ ინფორმაცია, „ხე-ტყის აღრიცხვის“ ელ. მოდულის მეშვეობით (ჩანართი: „საწყისი ნაშთები“), წარმოადგინოს 2023 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით. ამასთან, 2023 წლის 15 ივნისის მდგომარეობით ნაშთში იგულისხმება ხე-ტყის არსებული ნაშთები 2023 წლის 15 ივნისის 00:01 საათის მდგომარეობით.

დამატებით, შეგახსენებთ, რომ გადასახადის გადამხდელი ვალდებულია ხე-ტყის აღრიცხვის

განახლებული რეგულაციით, მათ შორის, ავტორიზებულ გვერდზე არსებული ხე-ტყის აღრიცხვის ელექტრონული მოდულით („ხე-ტყის აღრიცხვა“) და ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის ახალი წესით, იხელმძღვანელოს 2023 წლის 15 ივნისიდან.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

2025 წლის პირველი იანვრიდან საქართველოში ამოქმედდება ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემის ახალი რეგულაციები. ამ რეგულაციების შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში. კერძოდ:

1. ტერმინთა განმარტებების (მე-8 მუხლი) მე-19 ნაწილიდან (პროცენტის განმარტება) **ამოღებულ იქნა** „ბ.ა“ პუნქტი, რომლის მიხედვითაც: პროცენტად ითვლება საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით მზღვეველის მიერ დაზღვეულისათვის გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურება (თანხა), ამ ანაზღაურების მისაღებად განხორციელებული სადაზღვევო შენატანების გამოკლებით.

2. სსკ-ის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში, რომელიც განმარტავს თუ რა განიხილება ფინანსურ მომსახურებად/ოპერაციად, ჩაემატა საპენსიო და საინვესტიციო ფონდების ან დანაზოგთა სხვა კოლექტიური და ინდივიდუალური სქემების ფორმირება, მათში ფინანსური ინსტრუმენტების აკუმულირება, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველისა და საპენსიო კომპანიის საქმიანობა.

3. ამავე კოდექსის 39-ე მუხლის (საგადასახადო საიღუმლოება) მე-2 ნაწილს დაემატა ახალი დ¹ და დ² პუნქტები, რომლის მიხედვითაც:

საგადასახადო ორგანო, მისი თანამშრომელი, მოწვეული სპეციალისტი ან/და ექსპერტი ვალდებულია დაიცვას გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის საიღუმლოება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. მას უფლება აქვს, ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადასცეს მხოლოდ შემდეგ პირებს:

დ¹) საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს – „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით;

დ²) „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მზღვეველს, აქტივების მმართველ კომპანიასა და საპენსიო კომპანიას – იმავე კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული

უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით;

4. სსკ-ის 82-ე მუხლის (საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება) პირველ ნაწილში ჩაემატა ახალი ბ⁴ პუნქტი. ამ ცვლილების შესაბამისად, 2025 წლის პირველი იანვრიდან საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებული იქნება:

ბ⁴) ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სქემაში:

ბ⁴.ა) მონაწილის მიერ ან/და მის სასარგებლოდ წლის განმავლობაში ჯამურად 6 000 ლარამდე განხორციელებული საპენსიო შენატანი;

ბ⁴.ბ) მონაწილის მიერ საპენსიო სქემაში მონაწილეობის შედეგად მიღებული სარგებელი, გარდა „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევების დადგომამდე საპენსიო აქტივების გატანის შემთხვევისა;

ბ⁴.გ) მონაწილის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევისას, ვადაზე აღრე პენსიაზე გასვლისას ან მისი შესაძლებლობის შეზღუდვისას მონაწილის პირად საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული საპენსიო აქტივები პროგრამული გატანით ან ანუიტეტის ფორმით მიღებისას. ამასთანავე, პენსიის ერთიანი გადახდის შემთხვევაში, გარდა ბენეფიციარის მიერ პენსიის გატანისა, დაბეგვრას ექვემდებარება ამ ნაწილის „ბ⁴.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შედავათის ფარგლებში განხორციელებული საპენსიო შენატანები ამ კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული განაკვეთით;

5. სსკ-ის 101 მუხლის (ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები) მე-2 ნაწილს დაემატა ახალი თ და თ¹ პუნქტები, რომლის მიხედვითაც:

სარგებლის ღირებულებად ითვლება ქვემოთ მითითებული თანხა, რომელიც მცირდება დაქირავებულის მიერ ამ სარგებლის მიღებისას დამქირავებლისათვის გადახდილი თანხით:

თ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის გადახდისას – დამქირავებლის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის მოცულობა;

თ¹) დამქირავებლის მიერ დაქირავებულის სასარგებლოდ „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საპენსიო სქემაში განხორციელებული საპენსიო შენატანების მოცულობა;

6. 154-ე მუხლის (გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების წესი) პირველ ნაწილს დაემატა ახალი „ჟ“ პუნქტი, რომლის მიხედვითაც:

გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალდება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, კერძოდ:

ჟ) აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია – „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საპენსიო სქემის მონაწილისთვის მის პირად საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული საპენსიო აქტივების გაცემისას.

! აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 238-ე მუხლით (საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა საგადასახადო ორგანოს მიერ) გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ვრცელდება

„ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საპენსიო აქტივებზე.

ასევე, იმ იურიდიული პირების მიერ, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრამდე ახორციელებდნენ ნებაყოფლობით კერძო საპენსიო საქმიანობას, 2025 წლის 1 იანვრიდან განხორციელებულ განაცემებზე ვრცელდება „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ამ კოდექსით განსაზღვრული ნორმები.

! აღნიშნული ინიციატივა დაეირავებულებს მოტივაციას მისცემს ჩაერთონ კერძო საპენსიო სქემაში. არსებული კერძო საპენსიო სქემიდან მიღებული შემოსავალი მოქმედი კანონმდებლობით იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, რაც არამიმზიდველს ხდის ფულადი სახსრების მსგავს სისტემაში დაბანდებას. 2025 წლის პირველი იანვრიდან არათუ წლის განმავლობაში 6000 ლარამდე შენატანი გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან, არამედ მასზედ დარიცხული სარგებელიც.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

გონივრული ნაშთის გაანგარიშება ნაღდი ფულის დათვლის პირობებში

2023 წლის 3 ივლისს დამატებული ღირებულების გადასახადის მეთოდური მითითების მე-9 დანართში დაემატა ახალი მე-9 მუხლი. ამ მეთოდური მითითების მიზნებისთვის, თუ შესამოწმებელი პერიოდში ჩატარებული ინვენტარიზაციით დადგენილი ნაშთი აღემატება შესამოწმებელი პერიოდის რომელიმე თვ(ებ)ის გონივრული ნაშთის ოდენობას, ამ თვ(ებ)ის გონივრულ ნაშთად ჩაითვლება ინვენტარიზაციით დადგენილი ნაშთის ოდენობა.

უნდა აღინიშნოს, რომ გონივრული ნაშთის შემოღების იდეა არის საწარმოდან ფულის ფარულად გადინების აღკვეთა, თუმცა გარკვეულწილად ეს ინიციატივა არასამართლიანი იყო იმ გადამხდელებისთვის, რომლებსაც ფულადი სახსრები რეალურად ჰქონდა განთავსებული სალაროში, მაგრამ ამის მიუხედავად, აღნიშნული მეთოდური მითითების შესაბამისად ხდებოდა დაბეგვრის ობიექტი. 2023 წლის 3 ივლისიდან შემოსავლების სამსახურმა აამოქმედა გაახლებული მეთოდური მითითება, რომელიც დაივაცს კეთილსინდისიერ გადამხდელს.

წარმოდგენილია მაგალითი:

ფაქტობრივი გარემოება

საწარმოს საქმიანობის საგანია საყოფაცხოვრებო საქონლით ვაჭრობა. პირის მიმართ დანიშნული საგადასახადო შემოწმების ფარგლებში შესამოწმებელი პერიოდია 2022 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით საანგარიშო პერიოდები. მთელი შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში შემოსავლების მიღება და ხარჯების გაწევა ხორციელდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

ამასთან, ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებით, 2022 წლის დეკემბრის თვის ნაღდი ფულის ნაშთმა შეადგინა 200 000 ლარი, ხოლო გონივრულმა ნაშთმა 45 000 ლარი. გარდა ამისა, 2022 წლის ნოემბერს ჩატარებული ინვენტარიზაციით დადგენილმა ნაშთმა შეადგინა 50 000 ლარი.

შეფასება და შედეგი

ამ მეთოდური მითითების მიზნებისთვის, თუ შესამოწმებელი პერიოდში ჩატარებული ინვენტარიზაციით დადგენილი ნაშთი აღემატება შესამოწმებელი პერიოდის რომელიმე თვ(ებ)ის გონივრული ნაშთის ოდენობას, ამ თვ(ებ)ის გონივრულ ნაშთად ჩაითვლება ინვენტარიზაციით დადგენილი ნაშთის ოდენობა. ამდენად, მოცემულ პირობებში, 2022 წლის დეკემბრის თვის გონივრულ ნაშთად ჩაითვლება 50 000 ლარი.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი საკითხები არის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის და გამიზნულია ზოგადი მიმოხილვისათვის. არ არის რეკომენდებული აღნიშნულ პუბლიკაციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება ჩვენს წარმომადგენელთან კონსულტაციის გარეშე!

ჩვენი საგადასახადო სპეციალისტები მუდამ მზად არიან განგიმარტონ და მოგაწოდონ დამატებითი ინფორმაცია ზემოთ მოცემულ ცვლილებებზე!

გელა მდებრიშვილი

მმართველი პარტნიორი

TEL: +995 595 333 853

E-Mail: gela.mghebrishvili@nexia.ge

დავით მამრიკიშვილი

მმართველი პარტნიორი / საგადასახადო მიმართულების დირექტორი

TEL: +995 591 505 009

E-Mail: david.mamrikishvili@nexia.ge